[illegible] თოვლის [illegible] [illegible]

~~125~~ 254

287 1 254

287 1 254

დასკანირებულია 16.01.2025

13.

**ახალი წიგნები**

# ორიგინალური გამოკვლევა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი აკაკი თოფურია სამ ათეულ წელზე მეტია პირნათლად ემსახურება ქართული მეთოდიკური აზრის წინსვლა-გამდიდრების დიდ ეროვნულ საქმეს. მისი ქართული ლიტერატურის მეთოდიკის სქელტანიანი სახელმძღვანელოები და გამოკვლევები ცალკეულ მწერალთა შემოქმედების სწავლების შესახებ დიდი ხანია ჩვენი პედაგოგების სამაგიდო წიგნები გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული მეთოდიკური ლიტერატურა ამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე საკმაოდ გამდიდრდა, მაინც არ შექმნილა ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორია. ეს საშვილიშვილო საქმე იკისრა და პირნათლად შეასრულა პროფესორმა აკაკი თოფურიამ. მან ახლახან გამოსცა წიგნი **„ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორია“**, რომლის გამოსვლა საყურადღებო მოვლენაა ქართულ მეთოდიკურ მეცნიერებაში.

სარეცენზიო წიგნს ახლავს აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის წინასიტყვაობა, რომელშიც მკვლევარი იზიარებს ავტორის დასკვნებს და ნაშრომს მაღალ შეფასებას აძლევს. პროფესორ აკაკი თოფურიას საარქივო მასალები, ხელნაწერი დოკუმენტები, სპეციალური ლიტერატურა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე კეთილსინდისიერად გამოუყენებია. იგი მსჯელობს მოკლედ და გასაგებად, მდიდარ მასალებზე დაყრდნობით აკეთებს სწორსა და მისაღებ დასკვნებს.

ნაშრომი შედგება სამი თავისაგან, თითოეულ თავს ახლავს დასკვნები, ხოლო ნაშრომის ბოლოში წარმოდგენილია განმაზოგადებელი ხასიათის რეზიუმე რუსულ ენაზე. ეს მეტად მნიშვნელოვანია, რადგან რუს მკითხველსაც ეძლევა შესაძლებლობა მოკლედ გაეცნოს ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორიას.

პროფ. ა. თოფურია ქართული მეთოდური აზროვნების ისტორიას იწყებს მე-4 საუკუნიდან. ავტორი ეყრდნობა საარქივო დოკუმენტებს, უძველეს ქართულ წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურას. იგი მიუთითებს, რომ ქართულ მეთოდიკურ აზროვნებას მდიდარი და სახელოვანი ტრადიცია აქვს.

წიგნში დადგენილია ქართული მეთოდიკური აზროვნების განვითარების ძირითადი პერიოდები მე-19 საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე; დახასიათებულია ს. დოდაშვილის „რიტორიკა“ და ქართული ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა, აქვე მსჯელობაა რევოლუციამდელი რუსეთის მეთოდიკურ მიმდინარეობათა შესახებ (თ. ბუსლაევი, ვ. ვოდოვოზოვი, ც. ბალტალონი, ვ. ოსტროგორსკი, ლ. პოლივანოვი) და აგრეთვე იმ გავლენის შესახებაც, რაც მოახდინა რუსულმა მეთოდიკურმა აზროვნებამ ქართულ სინამდვილეზე.

ა. თოფურია დეტალურად აღწერს დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიას და იძლევა მის კრიტიკულ შეფასებებსაც. შემდეგ კი დაწვრილებით მსჯელობს ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და ი. გოგებაშვილის როლზე ქართული მეთოდიკური აზროვნების განვითარების საქმეში; აქვე გაანალიზებულია, ქ. ლორთქიფანიძის მიერ პეტერბურგში გამოცემული ქართველ მწერალთა ნაწერების კრებული „ჩონგური“, რომელსაც სპეციალური რეცენზია მიუძღვნა აკაკი წერეთელმა სათაურით — „რამდენიმე სიტყვა „ჩონგურის“ შესახებ“.

მეტად საყურადღებო საკითხს განიხილავს ავტორი ეგრეთწოდებულ „განმარტებითს კითხვასთან“ დაკავშირებით. აქ იგი ეხება მ. ნასიძის (1859-1925 წწ.) მოღვაწეობას. როგორც ცნობილია, მ. ნასიძემ შესამჩნევი კვალი დატოვა ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორიაში.

ასევე საყურადღებოა ამ სფეროში არ. ქუთათელაძის დამსახურებაც. რევოლუციამდელ საქართველოში ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული იყო არ. ქუთათელაძის გრამატიკის სახელმძღვანელო, რომელიც ოთხჯერ გამოიცა. არ. ქუთათელაძეს სწორად აქვს გაგებული ქართული ენის ბუნება და თვისება. ეს სახელმძღვანელო თავისი აგების პრინციპებითაც და მეთოდიკური მიმართულებითაც ამართლებდა დანიშნულებას.

ამიტომ იყო, რომ არ. ქუთათელაძის გრამატიკას დადებითად აფასებდნენ გამოჩენილი პედაგოგები. ამასთან ერთად არ. ქუთათელაძეს 1891 წელს გამოუცია ლიტერატურული ქრესტომათია „წყარო“, რომელსაც დეტალურად აანალიზებს პროფ. ა. თოფურია.

სარეცენზიო წიგნის ავტორის სიტყვით, ა. ქუთათელაძის მიერ შედგენილი და გამოცემული „წყარო“ თავისი აღნაგობით, ხასიათითა და მიდრეკილებით წარმოადგენს ი. გოგებაშვილის „ბუნების კარისა“ და მ. ნასიძის „ქართული ქრესტომათიის“ საუკეთესო ნიშნების ერთგვარი გამთლიანების ცდას. მ. ნასიძის ქრესტომათიის გავლენა მასში უეჭველად იგრძნობა შედარებით დიდი მოცულობის ტექსტების ნაწყვეტებად დაყოფის, მათი სხარტულად დასათაურების დროს, ხოლო, მეორე მხრივ, უფრო შესამჩნევია ი. გოგებაშვილის „ბუნების კარის“ გავლენა იმ საბუნებისმეტყველო, ისტორიული და გეოგრაფიული ხასიათის სტატიების კითხვისას, რომლებიც არ. ქუთათელაძის სახელმძღვანელოებში მ. ნასიძის ქრესტომათიისაგან განსხვავებით ასე საგრძნობლადაა ჩართული და დასურათებული (გვ. 135).

პროფ. ა. თოფურია ეხება გ. იოსელიანის (1847-1919) აზრებს „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების საკითხებზე, ლ. ბოცვაძის მოსაზრებებს ლირიკული ნაწარმოების სწავლების გზებისა და მიზნების შესახებ.

პროფ. ა. თოფურია ცალკე გამოყოფს 1900-1921 წლების პერიოდს ქართული მეთოდური აზროვნების ისტორიაში, ახასიათებს ამ პერიოდის ტენდენციებს არა იზოლირებულად, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში, უყურადღებოდ არ ტოვებს პერიოდული პრესის მასალებსაც, აღწერს და კრიტიკულად აფასებს ივ. გომელაურის „სკოლაში შესასწავლ ქართველ მწერლებს“, ასევე იძლევა ს. გორგაძის სახელმძღვანელო ქრესტომათიების „აღწერილობასა“ და კრიტიკულ-მეთოდიკურ შეფასებას, აგრეთვე ს. ხუნდაძისა და ვ. ბარნოვის ქართული ლიტერატურის გაკვეთილების კონსპექტების ანალიზს.

მეტად საყურადღებო დაკვირვებებია მოცემული მესამე თავში—კლასგარეშე მუშაობისა და მოსწავლეთა მეტყველების განვითარების საკითხებზე.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამ შრომის აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძისეულ შეფასებას და ვიმეორებთ მისი წინასიტყვაობის ბოლო ნაწილს მთლიანად. „ცხადია, შრომა დაზღვეული არ არის ნაკლოვანებებისაგან როგორც თვით ავტორი ბოლოსიტყვაობაში მოკრძალებულად აღნიშნავს. მის გამოკვლევას არა აქვს „სრულყოფილობის პრეტენზია“. მაგრამ რა ახალი მასალებიც არ უნდა აღმოჩნდეს ამ მიმართულებით, ეს წიგნი მაინც ყოველთვის შეინარჩუნებს ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორიის პირველი ორიგინალური ნარკვევისა და, მაშასადამე, ქართული მეთოდიკური აზროვნებისათვის თვალსაჩინო შენაძენის მნიშვნელობას.

დოც. რ. შამელაშვილი.

დროშა

მე-8 გვერდი, შაბათი,
18 ოქტომბერი, 1969 წ.

N 124

ბუკიანმა.

— ვასწავლოთ ბავშვებს ქუჩაში მოძრაობის წესები, თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი უსიამოვნება, — ეს მეტად საპატიო საქმეა.

**დ. ტუაბლაძე,**
შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორი, მილიციის უმცროსი ლეიტენანტი.



## პრესის ნორჩი გამავრცელებლები

ადრიანად დაიწყო ხელმოწერა ჟურნალებსა და გაზეთებზე 1970 წლისათვის პატრიკეთის საშუალო სკოლაში. თითქმის ყველა პიონერ მოსწავლემ გამოიწერა „ნორჩი ლენინელი“, „დილა“, „პიონერი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ცისკარი“, „მნათობი“, რაიონული გაზეთი „დროშა“.

პრესის გავრცელებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი პიონერებმა ლილი მამისეიშვილმა, რამაზ სულაკაძემ, იზო იმნაძემ, ინგა ადამაძემ, გურამ ჩეჩელაშვილმა, კომკავშირელებმა თინათინ გოდუაძემ, მარინა კოლუაშვილმა, ნანული ჩეჩელაშვილმა, მანანა ადაძაძემ, ნარგიზა ცაგარეიშვილმა და ბადრი სვანაძემ.

**ციური გოდუაძე,**
პატრიკეთის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

სთენებს გადაეცათ ოქროს მედლები. საკდესის ფოტო...

## საბჭოთა ნაკრების გამარჯვება

კიევის ცენტრალურ სტადიონზე 15 ოქტომბერს გაიმართა მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და თურქეთის ნაკრები გუნდები.

საბჭოთა ფეხბურთელებმა მოწინააღმდეგე დაამარცხეს დიდი ანგარიშით— 3:0. სტუმრების კარში ორი ბურთი გაიტანა ვ. მუნტიანმა, ხოლო ერთი —გ. ნოდიამ.

## „კოლმეურნეს“ თასი — გეგუთელ სპორტსმენებს

დამთავრდა ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტსაზოგადოებათა „კოლმეურნეს“ რაიონული თასის გათამაშება ფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რვა გუნდი. ფინალში გავიდნენ ოფშკვითის კოლმეურნეობისა და გეგუთის მებოსტნეობა-მეთევზეობის საბჭოთა მეურნეობის გუნდები.

სამწუხაროდ, ფინალური მატჩი შეწყდა 65-ე წუთზე. ამის მიზეზი იყვნენ ოფშკვითელი ფეხბურთელები, რომლებმაც მათ კარში გატანილი მეორე ბურთის პასუხად დემონსტრაციულად დატოვეს მოედანი. ეს ფაქტი ხათელყოფს, რომ ოფშკვითელ სპორტსმენებში ჯეროვან სიმაღლეზე არ დგას აღმზრდელობითი მუშაობა.

ამრიგად, ანგარიშით 2:1 გამარჯვება მიეკუთვნა გეგუთის საბჭოთა მეურნეობის გუნდს. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს რ. ჯიქიძემ და ჯ. მუშკუდიანმა, ხოლო ოფშკვითელთაგან—ს. დეისაძემ.

გეგუთის საბჭოთა მეურნეობის ფეხბურთელთა გუნდს გადაეცა „კოლმეურნეს“ რაისაბჭოს გარდამავალი თასი და პირველი ხარისხის დიპლომი, მოთამაშეები კი სიგელებით დაჯილდოვდნენ.

**ვ. კობახიძე,**
„კოლმეურნეს“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

**რედაქტორის მოადგილე**
**ვ. დარდაგანიძე.**

თებრო და მიხეილ ღოღობერიძეები თანაუგრძნობენ ოჯახს
**ნოე ხუნწარიძის**
გარდაცვალების გამო.

გ. კუხალეიშვილი, შ. ჭაბუკიანი, გ. სოფრომაძე, მ. გოგუაძე, ნ. ჯანელიძე, მ. ბერიძე, თ. ჭოლოშვილი თანაუგრძნობენ იაშა სიმსივეს დედის
**მინიკო სიმსივეს**
გარდაცვალების გამო.

კლავდია იოსელიანი შვილებით მერი, მერაბი, გექტორი, რძლებით ლუბა, ნელი, სიძით ფარვიზ დოლიძე თანაუგრძნობენ ოჯახს
**ნოე ხუნწარიძის**
გარდაცვალების გამო.

წყალტუბოს მომხმარებელთა საზოგადოების გამგეობა, აპარატისა და ქსელის მუშაკები თანაუგრძნობენ იაშა სიმსივესა და ნოე ბეხდელიახს დედისა და სიდედრის
**მინიკო სიმსივეს**
გარდაცვალების გამო.

გ. ქუთათელაძე, მ. ლორთქიფანიძე, მ. აფულავა, ვ. მარუაშვილი, ვ. ბაქრაძე, ჯ. ბერძენაძე, ა. იძედაძე, ა. ჯიქიძე, ბ. რიჟინაშვილი, ვ. ჯანელიძე თანაუგრძნობენ ჭაბუკიანს დეიდას ...ოვავას

ე. ტორაძე, მ. ლილუაშვილი, დ., დ. გოგოლიშვილები, ლ. ბიკოვა, ლ. კვაზირიძე, ძ., ნ. გორგაძეები, თ. სახოკიძე, ფ. კეთილაძე, ლ. აფხაძე, გ. ქორქოლაძე, შ. ბერაძე თანაუგრძნობენ დალი სიმსივეს ბებიას
**მინიკო სიმსივეს**
გარდაცვალების გამო.

წყალტუბოს რძის ქარხნის კოლექტივი იუწყება
**ნოე ხუნწარიძის**
გარდაცვალებას.

ჟულიეტა და გურამ მეშველიანეები ოჯახით თანაუგრძნობენ კლავდია, გელა და გვაჩი ხუხწაროიძეებს მეუღლისა და მამის
**ნოე ხუნწარიძის**
გარდაცვალების გამო.

ზ. კეთილაძე, კ. ქობულაძე, ნ. ბონდარენკო, გ. ბეხიძე, შ. თოფურია, მ. გაფრინდაშვილი, ვ. სავიჩევა, გ. ნიჟარაძე, შ. ოსიშვილი, ი. მანჯავიძე, დ. გოგორიშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჟორა და ნანული კვერხაძეებს მამისა და მამამთილის
**ივანე კვერნაძის**
გარდაცვალების გამო.

ქუთაისის ვეტსანიტარული სადგურისა და სარაიონთაშორისო ვეტლაბორატორიის თანამშრომლები იუწყებიან
**ნოე ხუნწარიძის**
გარდაცვალებას.

ნინო, სიმონ, ლალი, მალვინა ჯალაღანიები, ზინა, გიგლა, ციცინო, ნუკრი, ციური ფუტკარაძეები თანაუგრძნობენ ოჯახს
**ნოე ხუნწარიძის**
გარდაცვალების გამო.

მაღლაკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა და აპარატის მუშაკები თანაუგრძნობენ ოჯახს
**ნოე ხუნწარიძის**
გარდაცვალების გამო.